

## „საერთაშორისო აკადემია ლოგოსი“

სახელი გვარი .....

თარიღი .....2017 წელი

### VII კლასი

#### 1.1.ყურადღებით გაეცანით მოცემულ აბზაცებს. დაალაგეთ ისინი ლოგიკური თანმიმდევრობით (მაგალითად, 1 - დ)

ა) ჭიანჭველებს ოსტატურად აქვთ მოწყობილი საცხოვრებელი. მიუხედავად იმისა, რომ მათ ბუდეს მხოლოდ ერთი შესასვლელი აქვს, იგი ბევრი ოთახისგან შედგება. თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება აქვს. ყველაზე დიდი დედოფლის სამყოფელია, სადაც იგი კვერცხებს დებს. აქ მხოლოდ მუშა ჭიანჭველებს აქვთ შესვლის უფლება, რათა საკვები მიუტანონ დედოფალს და კვერცხები სპეციალურად გაკეთებულ საბავშვო ოთახებში გადაზიდონ.

ბ) ამრიგად, ჭიანჭველათა ცხოვრების წესზე დაკვირვების შედეგად, ენტომოლოგები - მეცნიერები, რომლებიც მწერებს შეისწავლიან, ამბობენ, რომ ჭიანჭველები ყველაზე მაღალგანვითარებული არსებები არიან.

გ) არსებობს ჭიანჭველების ზოგიერთი სახეობა, რომელიც მარცვავს მეზობელ ოჯახებს, ჰპარავს მათ კვერცხებს და გამოჩეკილ ჭიანჭველებს იყენებს მონებად. „მონები“ იმავე სამუშაოს ასრულებენ, რაც, წესით, საკუთარ ოჯახში უნდა შეესრულებინათ: ზოგი ეხმარება მათ პატარების მოვლაში, ზოგი - საკვების მოპოვებაში, დანარჩენები იცავენ ბუდეებს.

დ) ჭიანჭველები მიწისქვეშა გვირაბებში, ხან კი მიწისაგან აშენებულ ბორცვებში ოჯახებად ცხოვრობენ. ზოგი მათგანი მცენარეთა ღრუბში იბუდებს. თითო ოჯახში 3000-მდე ჭიანჭველაა. ჭიანჭველების ოჯახი შედგება სხვადასხვა წევრისაგან. ყოველ მათგანს მკაცრად განსაზღვრული ფუნქცია აქვს. დედოფალი ქმნის ოჯახს და დებს კვერცხებს ოჯახის დაარსების შემდეგ თითქმის არასოდეს ტოვებს ბუდეს.

1-

2-

3-

4-

#### 1.2.მოცემული სათაურები მიუსადაგეთ კონკრეტულ აბზაცებს (ნიმუში: ა - 1). გაითვალისწინეთ, სამი ვარიანტი ზედმეტია.

- ა. ჭიანჭველების არქიტექტურული ხელოვნება
- ბ. ჭიანჭველათა გამორჩეული სახეობები
- გ. ჭიანჭველების წარმომავლობა
- დ. ჭიანჭველების როლი ნიადაგის განაყოფიერებაში
- ე. ჭიანჭველების შესახებ არსებული შეხედულება
- ვ. ჭიანჭველების განვითარების ეტაპები
- ზ. ჭიანჭველათა იერარქიული მმართველობა

**1.3. ყურადღებით გაეცანით ტექსტს და თქვენი სიტყვებით დაწერეთ მისი მოკლე შინაარსი. გაითვალისწინეთ, არ შეიძლება ტექსტიდან ცალკეული წინადადებებისა და ფრაზების გადმოწერა.**

მოგზაურობის გიჟიაო რომ იტყვიან, სწორე ჯოვანინო ჩიტირეკიაზე იყო ზედგამოჭრილი. იმდენი იარა, იმდენი იხეტიალა, თვითონაც ვერ გაიგო, როგორ მიადგა ერთ უცნაურ ქვეყანას. იმ ქვეყანაში სულ კვერცხივით მრგვალი სახლები იდგა. ახლა სახურავებს არ იკითხავ, რანაირი სახურავები ჰქონდათ? იმისთანა კი არა, როგორც სხვა ქვეყნებშია - გაშვერილ-გამოშვერილი. სუყველა ერთიანად ნაპირებაზნეკილი, ბოლოში მრგვლად აღუნული იყო. ქუჩების გასწვრივ მთელ სიგრძეზე ვარდი ყვაოდა და ჯოვანინოს აბა რა გული მოუთმენდა, ერთი მაინც რომ არ მოეწყვიტა და გულის ჯიბეში არ ჩაეხნია. ისიც კარგად იცოდა, უეკლო ვარდი რომ არ არის და სანამ წაეტანებოდა, ათი თვალი გამოიბა, მაგრამ არაფერი ეჩხვლიტა, არცერთ ეკალს წვერი არ ჰქონდა.

- საკვირველი ამბავია! - ხმამაღლა თქვა ჯოვანინომ.  
ამის თქმა იყო და ვარდებიდან პირმცინარე ყარაულმა ამოყო თავი.
- ალბათ, არ იცოდით, ვარდის მოწყვეტა რომ აკრძალულია..
- მართალი გითხრათ, მაგაზე არც მიფიქრია, ძალიან ვწუხვარ, - უპასუხა ბიჭმა.
- თუ ეგრეა, მაშ, მხოლოდ ნახევარ ჯარიმას გადაიხდით, - უთხრა ყარაულმა. მერე წიგნაკი მოიმარჯვა, ქვითრის გამოწერას შეუდგა. და ჯოვანინომ თვალს არ დაუჯერა - ქვითარს ის ყარაული წაუთლელი ფანქრით წერდა, სრულიად წვერწაუთლელი ფანქრით!
- ეჰე! - თავისდაუნებურად შესძახა ჯოვანინომ. - ბოდიში, ხმაღს ხომ არ მიჩვენებთ?
- დიდი სიამოვნებით, - უთხრა ყარაულმა.  
ისიც თუ ხმალი იყო, მაშ, მართლა ხმალი რაღაა! არც ფხა ჰქონდა, არც წვეტი!  
\_ მაინც რა ქვეყანაა ამისთანა? - ჰკითხა ჯოვანინომ.  
\_ უკუთხო და უკუნჭულო ქვეყანას ეძახიან, - უპასუხა ყარაულმა. - ახლა კი ნუ მომერიდებით და ორჯერ გამაწანით სილა.  
ჯოვანინომ იმხელა პირი დააღო, გალავნიან ციხე-კოშკს გადაყლაპავდა.



